



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 66  
05/12/2016

66-06-4-201612051034  


**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 66**  
2016 წლის 07 დეკემბერი

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების დამტკიცების შესახებ**

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის 1-პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონალური პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1.** „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად:


ა) მოწონებულ და დამტკიცებულ იქნას მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი რეგიონალური ფონდიდან დაფინანსების მისაღებად წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები. (თან ერთვის)

ბ) საპროექტო წინადადებების ნუსხა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებასთან ერთად წარედგინოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი. სიორიძის N14) მისი ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო